საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეძმარიაშვილი ელგუჯა ვიქტორის ძე

ე. მეძმარიაშვილი

მეძმარიაშვილი ელგუჯა ვიქტორის ძე (დ. 17. VII. 1946, ბათუმი), მეცნიერი კოსმოსური და სამხ.-საინჟ. ტექ. დარგში; პირველი ქართ. კოსმოსური ობიექტის გენ. კონსტრუქტორი (1999); აკადემიკოსი (2013; წ.-კორ. – 2001); ტექ. (1994) და სამხ. მეცნ. (2004) დოქტორი; პროფესორი (1995); სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1996); გენერალ-მაიორი (1999). დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) სამშენებლო ფაკ-ტი (1969). 1969-იდან იქვე მუშაობდა დოცენტად, პროფესორად, სამშენებლო კონსტრუქციების კათედრის, შემდგომ კი – თავისივე დაარსებული სამხ.-საინჟ. შეიარაღებისა და სპეც. ნაგებობების კათედრის გამგედ. მისივე ინიციატივით შეიქმნა სამხ.-კოსმ. ტექნიკის მოსკოვის ცენტრ. სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება „კომეტა“; იყო თბილ. ქვედანაყოფის სახელმწ. სპეც. საკონსტრუქტორო ბიუროს მთ. კონსტრუქტორი და უფროსი (1981-91); საქართვ. კოსმოსურ ნაგებობათა ინ-ტის გენ. კონსტრუქტორი და გენ. დირექტორი (1991-2006); საქართვ. პარლამენტის მესამე მოწვევის წევრი (1999-2004); საქართვ. თავდაცვის მინისტრის მრჩეველი ჯარების საინჟინრო უზრუნველყოფის დარგში (1991-2006); მისივე ინიციატივით შექმნილი საქართვ. შეიარაღებული ძალების გენ. შტაბის სამხ.-საინჟ. აკად. პრეზიდენტი (2001-06). მ. არის სტუ-ის ნაგებობების, სპეც. სისტემებისა და საინჟ. უზრუნველყოფის ინ-ტის გენ. კონსტრუქტორი (2006-იდან), სტუ-ის პროფესორი (2009-იდან) და სამთო ინ-ტის მთ. მეცნიერი თანამშრომელი (2015-იდან); საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. საინჟინრო მეცნ. და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (2019-დან), საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. მიერ დაარსებული სამხ. ჟურნალის –

„სამხედრო მეცნიერება. საქართველო“ – რედაქტორი (2016-იდან).

მ-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: კოსმოსური და მიწისზედა სპეც. დანიშნულებისა და სამხ.-საინჟ. ნაგებობები და კომპლექსები; ტრანსფორმირებადი საინჟ. სისტემების თეორია: საქართვ. ტერიტორიის თავდაცვისთვის საინჟ. მომზადება; საბრძოლო მოქმედებების სამხ.-საინჟ. უზრუნველყოფა და სამხ. თეორია.

მ-მა დაამუშავა რაკეტების თვალთვალისა და დამიზნების ავტონომიური, დიდი ზომის კოსმოსური თანამგზავრული კომპლექსი (1981-89); მისივე ხელმძღვანელობით შეიქმნა ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის კოსმ. და მიწისზედა კომპლექსები, რ-ებიც აგებული იყო დიდი ზომის გასაშლელი რეფლექტორული ანტენების ბაზაზე; ასევე შეწყვილებული წრიული 20-მეტრიანი კონსტრუქცია „კრაბი“ (განხორციელდა კოსმოსურ ხომალდ „პროგრეს 40-ზე“; 1989) და 18-მეტრიანი ნაგებობა „სოფორას“ საბაზო კონსტრუქცია (რეალიზებულია ორბიტალურ სადგურ „მირზე“ ღია კოსმოსურ სივრცეში; 1991).

საქართვ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მ-ის მიერ რეალიზებულ სამუშაოებში აღსანიშნავია პირველი ქართ. კოსმოსური ობიექტი – „რეფლექტორი“ (გავიდა ორბიტაზე 1999 წ. 23 ივლისს, წარმატებით გაიშალა და გამოიცადა); თავდაცვითი დანიშნულებისა და ექსტრემალური პირობებისთვის შექმნილი მობილური, სწრაფასაგები 48-მეტრიანი სიგრძის ხიდი; საქართვ. სამგანზომილებიანი სამხ.-საინჟ. რუკა; საქართვ. ტერიტორიის და მასზე განლაგებული ობიექტების სამხ.-საინჟ. კატალოგების შექმნა და სახელმწ. მიზნობრივი პროგრამის შესრულება; სპეც. რ-ნების მაღალი სიზუსტის კოსმოსური გადაღებების მონაცემთა ციფრული ბანკის შექმნა. მ-ს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები; არის რამდენიმე გამოგონების ავტორი. მიღებული აქვს ევროკავშირისა და აშშ-ის პატენტები.

დაჯილდოებულია ღირსებისა (1996) და ვახტანგ გორგასლის I ხარისხის (1999) ორდენებით; საზღვარგარეთისა და საერთაშ. ორგანიზაციების სახელმწ. და საუწყებო ორდენებითა და მედლებით. არის გ. ნიკოლაძის სახ. პრემიის ლაურეატი (2007): თბილისის საპატიო მოქალაქე (2018).

თხზ.: საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები, თბ., 2006; Трансформируемые конструкции в космосе и на земле, Тб., 1995; Novel approach to ihdirect actions of military theory, Norderstedt, Germany, 2009.

ლიტ.: დ ო ლ ი ძ ე ლ. გენერლები საქართველოდან, თბ., 2003; პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი. სარედაქციო

ჯგუფი. თბ., 2016.

პ. მამრაძე